სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/38

ქ. თბილისი 7 ოქტომბერი 2026

საბაკალავრო/სამაგისტრო და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტების სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის და 79-ე მუხლის 1[1] პუნქტის, „საქართველოს მთავრობის მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფინანსების წესისა და პირობების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 30 ივლისის №359 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 15 სექტემბრის №01-05-04/107 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2026 წლის 7 ოქტომბრის №01-06-02/08 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. 2026-2027 სასწავლო წლიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბაკალავრო/სამაგისტრო ან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ, სახელმწიფო საბაზო დაფინანსებაზე უფლებამოსილ სტუდენტებს 2027 წლის პირველ იანვრამდე პირველი სემესტრის სწავლის საფასური განესაზღვროთ 1125 ლარით, ხოლო 2027 წლის პირველი იანვრიდან მეორე და ყოველი შემდგომი სემესტრის სწავლის საფასურის ოდენობები განისაზღვროს დანართი №1-ის შესაბამისად.
2. ამ დადგენილების დანართი №1-ით განსაზღვრული სწავლის საფასურის ოდენობები გავრცელდეს „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების

წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224 ბრძანების საფუძველზე უნივერსიტეტის საბაკალავრო/სამაგისტრო ან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე 2026-2027 სასწავლო წლიდან ჩარიცხულ საქართველოს მოქალაქეებზე.

3. „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224 ბრძანების საფუძველზე უნივერსიტეტის საბაკალავრო/სამაგისტრო ან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე 2026-2027 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან ჩარიცხულ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის სწავლის საფასურის ოდენობები განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე - 5500 ლარი;

ბ) უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე - 12500 ლარი;

გ) ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე - 4500 ლარი.

4. დადგენილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და მისი გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურმა.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
2026 წლის 15 სექტემბრის 01-05-04/107 დადგენილების
დანართი1

საგანმანათლებლო პროგრამების ღირებულებები

№	საგანმანათლებლო პროგრამა	ბაკალავრიატი სემესტრის საფასური/კრედიტის ღირებულება	მაგისტრატურა სემესტრის საფასური/კრედიტის ღირებულება
1.	მშენებლობა	1375 ლარი/45,83 ლარი	1512,50 ლარი/50,41 ლარი
2.	მშენებლობის ინჟინერია და მენეჯმენტი	1375 ლარი/45,83 ლარი	1512,50 ლარი/50,41 ლარი
3.	სამოქალაქო ინჟინერია	1375 ლარი/45,83 ლარი	
4.	სამოქალაქო ინჟინერია (ინგლისურენოვანი)	1375 ლარი/45,83 ლარი	
5.	წყლის ინჟინერია (ინგლისურენოვანი)	1375 ლარი/45,83 ლარი	1512,50 ლარი/50,41 ლარი
6.	ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია	1375 ლარი/45,83 ლარი	1512,50 ლარი/50,41 ლარი
7.	საინჟინრო მენეჯმენტი	1375 ლარი/45,83 ლარი	
8.	ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია	1375 ლარი/45,83 ლარი	
9.	ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკა		1375 ლარი/45,83 ლარი
10.	გამოყენებითი გეოლოგია	1500 ლარი/50,00 ლარი	1650 ლარი/55,00 ლარი
11.	ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები (რუსულენოვანი)	1375 ლარი/45,83 ლარი	1512,50 ლარი/50,41 ლარი
12.	საინჟინრო გეოდეზია	1375 ლარი/45,83 ლარი	1512,50 ლარი/50,41 ლარი
13.	სამთო და გეოინჟინერია	1375 ლარი/45,83 ლარი	1512,50 ლარი/50,41 ლარი
14.	საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა	1250 ლარი/41,66 ლარი	
15.	ბუნებრივი საფრთხეები, მდგრადი გარემო და დაცვა	1375 ლარი/45,83 ლარი	
16.	ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები		1512,50 ლარი/50,41 ლარი
17.	პროფესიული უსაფრთხოება და ჯანმრთელობა		1375 ლარი/45,83 ლარი
18.	ქიმიური პროცესების ტექნოლოგია	1500 ლარი/50,00 ლარი	1650 ლარი/55,00 ლარი

19.	ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია	1375 ლარი/45,83 ლარი	1512,50 ლარი/50,41 ლარი
20.	ბიონანოკერამიკული და პოლიმერული კომპოზიტები და ექსპერტიზა	1375 ლარი/45,83 ლარი	
21.	არქიტექტურა	1375 ლარი/45,83 ლარი	1512,50 ლარი/50,41 ლარი
22.	არქიტექტურა (რუსულენოვანი)	1375 ლარი/45,83 ლარი	
23.	მოდის დიზაინის ტექნოლოგიები	1625 ლარი/54,16 ლარი	
24.	მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია	1375 ლარი/45,83 ლარი	1512,50 ლარი/50,41 ლარი
25.	სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია	1375 ლარი/45,83 ლარი	1512,50 ლარი/50,41 ლარი
26.	ტრანსპორტი	1375 ლარი/45,83 ლარი	1512,50 ლარი/50,41 ლარი
27.	საკვები პროდუქტების გადამუშავება და სამაცივრო ტექნოლოგია	1375 ლარი/45,83 ლარი	
28.	მექანიკის ინჟინერია (ინგლისურენოვანი)	1375 ლარი/45,83 ლარი	
29.	ლოგისტიკა	1375 ლარი/45,83 ლარი	1512,50 ლარი/50,41 ლარი
30.	საავიაციო ინჟინერია	1375 ლარი/45,83 ლარი	
31.	მეტალურგია	1375 ლარი/45,83 ლარი	1512,50 ლარი/50,41 ლარი
32.	მასალათმცოდნეობა	1375 ლარი/45,83 ლარი	1512,50 ლარი/50,41 ლარი
33.	სამეწარმეო მენეჯმენტი		1375 ლარი/45,83 ლარი
34.	დიზაინი (ინგლისურენოვანი)	1625 ლარი/54,16 ლარი	
35.	არქიტექტურა (ინგლისურენოვანი)	1375 ლარი/45,83 ლარი	
36.	ბიოსამედიცინო ინჟინერია	1375 ლარი/45,83 ლარი	
37.	ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები	1375 ლარი/45,83 ლარი	1512,50 ლარი/50,41 ლარი
38.	ინფორმატიკა	1250 ლარი/41,66 ლარი	1375 ლარი/45,83 ლარი
39.	საინჟინრო ფიზიკა	1375 ლარი/45,83 ლარი	1512,50 ლარი/50,41 ლარი
40.	მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგი	1375 ლარი/45,83 ლარი	1512,50 ლარი/50,41 ლარი
41.	ინფორმატიკა (რუსულენოვანი)	1250 ლარი/41,66 ლარი	
42.	კომპიუტერული მეცნიერება (ინგლისურენოვანი)	1250 ლარი/41,66 ლარი	
43.	ბიოსამედიცინო ინჟინერია (ინგლისურენოვანი)	1375 ლარი/45,83 ლარი	1512,50 ლარი/50,41 ლარი
44.	კომპიუტერული ინჟინერია	1375 ლარი/45,83 ლარი	

45.	კომპიუტერული მეცნიერება	1250 ლარი/41,66 ლარი	
46.	კომპიუტერული ინფორმაციული ტექნოლოგიები	1250 ლარი/41,66 ლარი	
47.	კომპიუტერული ინჟინერია (ინგლისურენოვანი)	1375 ლარი/45,83 ლარი	
48.	ბიოსამედიცინო ინჟინერია (ერთობლივი)		1512,50 ლარი/50,41 ლარი
49.	სამედიცინო ფიზიკა		1650 ლარი/55,00 ლარი
50.	ბიოსამედიცინო ინჟინერია და სამედიცინო ინფორმატიკა		1512,50 ლარი/50,41 ლარი
51.	კომპიუტერული სისტემები და ქსელური ტექნოლოგიები		1375 ლარი/45,83 ლარი
52.	კომპიუტერული მოდელირების ტექნოლოგიები ბირთვული კვლევების ექსპერიმენტებისთვის (ინგლისურენოვანი)		1375 ლარი/45,83 ლარი
53.	სასტუმრო მომსახურების მართვა		1375 ლარი/45,83 ლარი
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა (აფხაზური, ოსური, აზერბაიჯანული, სომხურენოვანი სტუდენტებისთვის)		სემესტრის საფასური-1250 ლარი კრედიტის საფასური - 41,66 ლარი	